ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №4

დაბა ქედა, 20.05.2022 წელი

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ზაზა დავითაძე.
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

20.05.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:
დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №g-95.95221195 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე და განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2022 წლის 19 მაისი, დღის 18 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში (წერილის ნომერი: 95-95221231, 03.05.2022 წელი), რომელსაც სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია (წერილის ნომერი: 03-95221311-95, 11.05.2022 წელი).

კომისიისა წევრებს საკითხის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი საკრებულოს სხდომაზე გატანის მიზნით წარმოდგენილი პროექტით კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს:

1.მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15.30 სთ-ზე დაახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ვაჟა აბულაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ციური ზაქარაძე**